N687 2015 წლის 3 აპრილი ქ.თბილისი

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალ სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსა და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ განსახორციელებელი ღონისძიების შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ი“ და „კ“ ქვეპუნქტების შესაბამისად:

ა) მიეცეს უფლება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალ სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს (შემდგომში - სააგენტო) მოახდინოს შესაბამისი პროექტის ინიცირება, გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფელ მარტყოფში მდებარე 9269 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების: №1 - საერთო ფართით - 2211 კვ.მ და №2 – საერთო ფართით - 60 კვ.მ (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №81.10.28.572) პრივატიზების მიზნით;

ბ) მიეცეს უფლება საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებულ სახელმწიფო

საქვეუწყებო დაწესებულებას - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს (შემდგომში - დეპარტამენტი), გამონაკლისის სახით, საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხის (აზერბაიჯანის რესპუბლიკის საზღვარი) საავტომობილო გზის 23-ე კმ-ზე, თბილისი-საგარეჯოს მონაკვეთზე, გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფელ მარტყოფში მდებარე 9269 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე და მასზე მდგომ შენობა-ნაგებობებზე: №1 - 2211 კვ.მ და №2 - 60 კვ.მ (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №81.10.28.572), აღნიშნული საავტომობილო გზის მონაკვეთზე, საპროექტო გადაწყვეტილებით დაგეგმილი სამუშაოების დასრულებამდე, გასცეს შესაბამისი ტექნიკური პირობები გზისპირა ინფრასტრუქტურის ობიექტის განთავსებაზე;

გ) ეთხოვოს მშენებლობის ნებართვის გამცემ შესაბამის ორგანოს, დეპარტამენტის მიერ გაცემული ტექნიკური პირობების საფუძველზე, საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხის (აზერბაიჯანის რესპუბლიკის საზღვარი) საავტომობილო გზის 23-ე კმ-ზე, თბილისი-საგარეჯოს მონაკვეთზე, გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფელ მარტყოფში მდებარე 9269 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მიწის ნაკვეთზე და მასზე მდგომ შენობა-ნაგებობებზე: №1 - 2211.0 კვ.მ, №2 - 60.0 კვ.მ (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №81.10.28.572), მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, გამონაკლისის სახით, განიხილოს გზისპირა ინფრასტრუქტურის ობიექტის განთავსებაზე შესაბამისი ნებართვის გაცემის საკითხი, აღნიშნულ საავტომობილო გზაზე დეტალური პროექტირებისა და საპროექტო გადაწყვეტილებით დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოების დასრულებამდე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**